# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ეროვნული ქსელი

## წესდება

## მუხლი 1
## ზოგადი დებულებები

1.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) ქალთა ეროვნული ქსელი (შემდგომში ქსელი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. ქსელი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.3. ქსელის ლათინური ტრანსკრიფცია National Network of Women With Disabilities (NNWWD)

1.4. ქსელის იურიდიული მისამართი: აჭარა (ბათუმი) ქ.ბათუმი, ირაკ.. გრიშაშვილის ქუჩა VII, ჩიხი №23

1.5. ელექტრონული ფოსტა – wwd.georgia@gmail.com

## მუხლი 2
## მისია და მიზნები

2.1. ქსელის მისიაა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელების ხელშეწყობა.

2.2. ქსელის მიზნებია:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების ღირსების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების გაძლიერება სრული და ეფექტური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის;

## მუხლი 3
## საქმიანობის ფორმები

3.1. წესდებით დადგენილი მიზნების მისაღწევად ქსელი:

3.1.1. ეწევა საგანმანათლებლო - შემეცნებით საქმიანობას შშმ ქალებისა და გოგოების სპეციფიკით გათვალისწინებულ საჭიროებებზე, მათი თანაბარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე ცოდნის ასამაღლებლად;

3.1.2. ქმნის შშმ ქალთა გაძლიერების და საკონსულტაციო მომსახურების ცენტრებს (ბიუროებს) ქსელის ახალგაზრდულ ფრთას და უზრუნველყოფს სასამართლო და სხვა ორგანოებში წარმომადგენლობას. ხელს უწყობს შშმ პირთა/ქალთა სამართლებრივი დაცვის ეფექტური ინფრასტრუქტურის შექმნას;

3.1.3. ეწევა შშმ ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და ყოფის გაუმჯობესებაზე მიმართული სახელმწიფო და სხვა პროგრამების შეფასებასა

და მონიტორინგს. ქსელის პოზიციების გამოხატვის გზით აქტიურად მონაწილეობს სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში;

3.1.4. ეწევა შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების, მათი „დამოუკიდებელი ცხოვრების", ეროვნულ, მუნიციპალურ და უწყებრივ დონეებზე კონსულტირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობის პოპულარიზაციას და ხელს უწყობს სფეროში თანამედროვე მიდგომების დამკვიდრებას;

3.1.5. მუშაობს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საკითხებზე, ასევე შშმ ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების განხორციელების ხელშეწყობისაკენ მიმართულ საკითხებზე;

3.1.6. ხელს უწყობს შშმ ქალებისა და გოგოების საარჩევნო პროცესებში აქტიურ ჩართულობას და პოლიტიკურ მონაწილეობას, ასევე მონაწილეობს სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავების პროცესებში;

3.1.7. შშმ ქალებისა და გოგოების სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და სისტემატიზაციისათვის ეწევა კვლევით საქმიანობას;

3.1.8. მუშაობს გარემოსდაცვით სამართლიანობის საკითხებზე შშმ ქალთა პერსპექტივით;

3.1.9. ზრუნავს შშმ პირთა/ქალთა საკითხებზე არსებული თანამედროვე ლიტერატურით, აუდიო და ვიდეო მასალებით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის შექმნასა და განვითარებაზე. ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;

3.1.10. თანამშრომლობს სფეროში მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

3.1.11. შესაძლოა ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;

3.1.12. ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

ქსელის დამფუძნებელი ა(ა)იპ ორგანიზაციები არიან:

| № | ა(ა)იპ | მისამართი | ს/კ | ხელმძღვანელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქალი და რეალობა | ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ც. დადიანის ქ., კორ. 315, ბ. 2 | 400052134 | თამარ მაჭარაშვილი პირადი №01019010606 ბარათის №18IC27872 |
| 2 | მზიანი ბილიკი | ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ვ.ნინუას № 3 | 400151134 | ინგა ნაბახტეველი პირადი №01036005600 ბარათის №15IC22927 |
| 3 | პლატფორმა ახალი | ქ.თბილისი, ისანის | 406282600 | ესმა გუმბერიძე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შესაძლებლობებისთვის | რაიონი, გ. ნიორაძის ქ., №22ა | | პირადი №09001022798 ბარათის №13IH23859 |

## მუხლი 4
## წევრობა

ქსელის წევრი შეიძლება გახდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ორგანიზაციები, შშმ და არა შშმ ზრდასრული ქალი აქტივისტები, შშმ გოგონების მშობლები, რომლებიც იზიარებენ ქსელის მიზნებს. ქსელის შშმ პირის სტატუსის არმქონე წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს წევრთა საერთო რიცხვის 25%-ს

**4.1. ქსელის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმით, წერილობითი განცხადებით მიმართავს ქსელის გამგეობას. გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 3 თვისა. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს დადგენილი ფორმით ქსელის ორი წევრის წერილობითი რეკომენდაცია.**

**4.2. ქსელის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.**

**4.3. ქსელის წევრს უფლება აქვს:**

4.3.1. მონაწილეობდეს ქსელის საერთო კრების მუშაობაში;

4.3.2. აირჩიოს და არჩეულ იქნეს ქსელის მმართველობის ორგანოებში;

4.3.3. კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ქსელის პროგრამებში;

**4.3.4. სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;**

**4.3.5. მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ქსელის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ქსელის საქმიანობის შესახებ;**

**4.3.6. ქსელის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ქსელის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ - ტექნიკური საშუალებებით;**

**4.3.7. ატაროს ქსელის ემბლემა და სხვა აქსესუარები.**

**4.4. ქსელის წევრი მოვალეა:**

**4.4.1. დაიცვას ქსელის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;**

**4.4.2. გაუფრთხილდეს ქსელის საქმიან რეპუტაციას, ავტორიტეტსა და ქონებას;**

4.4.3. შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ქსელის საქმიანობაში;

**4.4.4. სფეროში საქმიანობისას იხელმძღვანელოს ქსელის მიზნებითა და დადგენილი ეთიკის ნორმებით;**



4

4.4.5. გადაიხადოს საწევრო შენატანი დადგენილი წესითა და ოდენობით;

**4.5. ქსელის წევრს უფლებამოსილება უწყდება:**

4.5.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

4.5.2. გამგეობის წინასწარი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის ზედიზედ სამი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;

4.5.3. სასამართლოს მიერ მის წინააღმდეგ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში.

4.5.4. გარდაცვალებისას;

4.5.5. საერთო კრების გადაწყვეტილებით ქსელის წევრი შეიძლება გაირიცხოს ქსელიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ქსელის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს ამ წესდებით, ორგანიზაციის ეთიკის კოდექსით და შინაგანაწესით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

## მუხლი 5
## ქსელის მმართველობა

**5. წევრთა საერთო კრება**

5.1.1. ქსელის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება.

5.1.2. საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ორგანიზაციის ყველა წევრს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც შეჩერებული აქვთ წევრობა. წევრობაშეჩერებულ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ საერთო კრებას.

5.1.3. საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, ბოლო საერთო კრებიდან არაუგვიანეს ერთი წლის გასვლისა. გამგეობა ვალდებულია, კრების ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ აცნობოს ორგანიზაციის წევრებს კრებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე.

5.1.4. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა:

5.1.4.1. გამგეობის გადაწყვეტილებით:

5.1.4.2. ქსელის არანაკლებ 5 (ხუთი) წევრის მოთხოვნით.

5.1.5. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

5.1.6. ქვორუმის არარსებობის გამო, კრების განმეორებით მოწვევის შემთხვევაში, კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ზე მეტი.

5.1.7. საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

5.1.7.1. წესდების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა;

5.1.7.2. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

5.1.7.3. ორგანიზაციის გამგეობის წევრთა არჩევა:

5.1.7.4. გამგეობის ანგარიშის დამტკიცება;

5.1.7.5. ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების შემოწმების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სარევიზიო კომისიის შექმნა, რომლის უფლებამოსილებასაც განსაზღვრავს საერთო კრება;
5.1.7.6. ქსელის წევრობის შეწყვეტის საკითხის განხილვა ( გარდა ამავე წესდების 5.3.12. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).
5.1.7.7. საწევრო გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.
5.1.8. საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა საწესდებო ცვლილებებისა, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების 2/3-ით.

<u>5.2. ქსელის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა</u>

5.2.1. ქსელის ხელმძღვანელი ორგანოა 5 წევრისაგან შემდგარი ქსელის გამგეობა, რომლის წევრებსაც ირჩევს საერთო კრება 4 წლის ვადით და მისი უფლებამოსილება გრძელდება ახალი გამგეობის არჩევამდე. ქსელის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი ან სხვა პირის კანდიდატურა გამგეობის წევრად ასარჩევად. გამგეობის წევრების კანდიდატები წარდგენილ უნდა იქნეს საერთო კრებამდე ერთი კვირით ადრე. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს ის პირიც, რომელიც არ იმყოფება საერთო კრებაზე, თუ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი ან/და კანონით დაშვებული ფორმით გამოხატული თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.
5.2.2. საერთო კრებებს შორის პერიოდში, ორგანიზაციის საქმიანობას წარმართავს გამგეობა. გამგეობა წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს;
5.2.3. გამგეობის სხდომები მოიწვევა თავმჯდომარის მიერ ან გამგეობის წევრის მოთხოვნით, არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.
5.2.4. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმა აქვს თავმჯდომარეს.
5.3. გამგეობის ფუნქციები:
5.3.1. ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება, ასევე ორგანიზაციის ხედვასა და მისიაში შესაძლო ცვლილებების დასამტკიცებლად წარდგენა საერთო კრებაზე;
5.3.2. ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტული მიმართულებების, განსახორციელებელი პროექტების იდეების შემუშავება;
5.3.4. საერთო კრების დანიშვნა და ორგანიზება;
5.3.5. წლიური ოპერაციული (სამოქმედო) გეგმის და წლიური ფინანსური ბიუჯეტის დამტკიცება;
5.3.6. აუდიტორიული კომპანიის არჩევა;
5.3.7. ქსელის სტრუქტურული ერთეულების შექმნა და დამტკიცება;

5.3.8. ქსელის ახალგაზრდული ფრთის შექმნა, დაკომპლექტება და საქმიანობის წესის განსაზღვრა.

5.3.9. ქსელის მრჩეველთა საბჭოს შექმნა, დაკომპლექტება და საქმიანობის წესის განსაზღვრა.

5.3.10. შინაგანაწესისა და ეთიკის წესების შემუშავება და დამტკიცება და ზედამხედველობა ეთიკის წესების შესრულებაზე;

5.3.11. პირის წევრად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

5.3.12. წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება პირადი განცხადების არსებობის შემთხვევაში;

5.3.13. წევრობის შეჩერების შესახებ და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში შეჩერების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

5.3.14. გამგეობის წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა;

5.3.15. საწევრო გადასახადის გადახდის წესის განსაზღვრა;

5.3.16. ქსელის წევრების, და მესამე პირთა განცხადებების და საჩივრების განხილვა გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

5.3.17. ყველა სხვა საკითხის განხილვა, რომელიც არ შედის საერთო კრების კომპეტენციაში;

<u>5.5. გამგეობის წევრის ვალდებულებები:</u>

5.5.1. დაესწროს გამგეობის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს გამგეობის მუშაობაში;

5.5.2. სხდომებზე დაუსწრებლობის შემთხვევაში, გაეცნოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას და იზრუნოს მის განხორციელებაზე;

5.5.3. მოამზადოს წინადადებები და იდეები ქსელის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და საქმიანობის მიმართულებებთან დაკავშირებით.

5.5.4. წევრები ჩართული უნდა იყვნენ რესურსების მოზიდვის მიმართულებით დაგეგმვის, მონიტორინგისა და აღსრულების პროცესში;

5.6. გამგეობის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება გამგეობის გადაწყვეტილებით:

5.6.1. პირადი განცხადების საფუძველზე;

5.6.2. უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო;

5.6.3. თუკი 3 თვეზე მეტი ვადით ვერ ასრულებს თავის უფლება-მოვალეობებს;

5.6.4. 3-ჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით გამგეობის სხდომის გაცდენის შემთხვევაში;

5.6.5. გამგეობის წევრისთვის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, მას ჩაენაცვლება ორგანიზაციის ის წევრი, რომელმაც საერთო კრებაზე, ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო გამგეობის არჩეული წევრების შემდეგ.

ქსელის გამგეობის წევრები არიან:

| № | ა(ა)იპ | მისამართი | ს/კ | ხელმძღვანელი | პ/ნ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქალი და რეალობა | ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის N 315 | 400052134 | თამარ მაჭარაშვილი | №01019010606 |
| 2 | მზიანი ბილიკი | ქ. თბილისი ვ.ნინუას ქ. N 3 | 400151134 | ინგა ნაბახტეველი | №01036005600 |
| 3 | პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის | ქ.თბილისი. ისანის რაიონი, გ. ნიორაძის ქ., №22ა | 406282600 | ეკა გუმბერიძე | №09001022798 |
| 4 | შშმ ქალთა ალიანსი | ქ.ბათუმი, ივანე მესხის V ჩიხი N 4 | 445602152 | დეა ერემაშვილი | №01017027181 |
| 5 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები თანასწორობისთვის | ქ.ქუთაისი, გ.ჭყონდიდელის ქუჩა, N 91 | 412760445 | თინათინ გელხვიძე | №60002004299 |

5.7. გამგეობის თავმჯდომარე

5.7.1. ქსელის გამგეობის თავმჯდომარეს თავის წევრთაგან ხმათა უმრავლესობით ირჩევს გამგეობა და მისი უფლებამოსილების ვადა განუსაზღვრელია. თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს. გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტამდე. გამგეობას შეუძლია ნებისმიერ დროს დააყენოს საკითხი ქსელის თავმჯდომარისა და მისი უფლებამოსილების ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით;

<u>5.7.2. გამგეობის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები:</u>

5.7.2.1. ხელმძღვანელობს ქსელის გამგეობის საქმიანობას;

5.7.2.2. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენს ქსელს მესამე პირებთან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;

5.7.2.3. გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს ქსელის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტაციას;

5.7.2.3. წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებს საერთო კრებას ქსელის საქმიანობის შესახებ;

5.7.2.4. საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ქსელის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

5.7.2.5. იწვევს გამგეობის სხდომებს მინიმუმ 3 თვეში ერთხელ და აცნობინებს გამგეობის წევრებს სხდომის თარიღსა და დღის წესრიგის შესახებ სხდომამდე 5 (ხუთი) დღით ადრე.
5.7.2.6. ქმნის სათათბირო ორგანოს – დირექტორთა საბჭოს, რომლის შემადგენლობაში შედიან პროგრამების დირექტორები (კოორდინატორები). დირექტორატის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ ქსელის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
5.7.2.7.ანგარიშვალდებულია გამგეობასთან და ქსელის დამფუძნებელთა საერთო კრებასთან;
5.7.2.8.გამგეობის თავმჯდომარის საქმიანობის წესი განისაზღვრება მოქმედი წესდებით და გამგეობის დებულებით თავმჯდომარის საქმიანობის წესის შესახებ;
5.7.2.9. გამგეობის თავმჯდომარეს შეუძლია მასზე მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღება;

<u>ქსელის გამგეობის თავმჯდომარე</u> თამარ მაჭარაშვილი

**მუხლი 6**
**საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია**

6.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით დადგენი წესით.
6.3.ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
6.4. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
6.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების განხვისება შესაძლებელია, თუ:



9

6.5.1.გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნებისგანხორციელებას;
6.5.2.ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
6.5.3.ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

6.8.ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

6.9.ქსელის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. გადაწყვეტილება ქსელის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ქსელის დამფუძნებელთა 2/3-მა მისცა ხმა;

6.10.ქსელის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს სხვა შემთხვევებშიც, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით;

6.11.ლიკვიდაციას ახორციელებს კრების მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია;

6.12. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 7

დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ქსელის დამფუძნებელი ა(ა)იპ ორგანიზაციები არიან:

| № | ა(ა)იპ | მისამართი | ს/კ | ხელმძღვანელი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქალი და რეალობა | ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ც. დადიანის ქ., კორ. 315, ბ. 2 | 400052134 | თამარ მაჭარაშვილი - პირადი №01019010606 ბარათის №18IC27872 | [signature] |
| 2 | მზიანი ბილიკი | ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ვ.ნინუას № 3 | 4000151134 | ინგა ნაზახტეველი - პირადი №01036005600 ბარათის №15IC22927 | [signature] |
| 3 | პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის | ქ.თბილისი, ისანის რაიონი, გ. ნიორაძის ქ., №22ა | 406282600 | ესმა გუმბერიძე - პირადი №09001022798 ბარათის №13IH23859 | |

[illegible]
[illegible] 36001035318 [signature]



11

National Network of Women with Disabilities

Charter

LINGUAPHILIA
LIMITED LIABILITY COMPANY

Tamar Chartolani

Article 1

General Provisions

1.1. National Network of Women (hereinafter Network) with Disabilities (hereinafter WD) is the non-entrepreneurial (non-commercial) legal entity which operates in accordance with the Constitution of Georgia, the legislation of Georgia and this Charter.

1.2. The Network, based on its objectives, operates throughout Georgia, as well as abroad.

1.3. Latin transcription of the Network: National Network of Women With Disabilities (NNWWD)

1.4. The legal address of the Network: Adjara (Batumi), Batumi, №11 Ioseb Grishashvili Str., Apt. №23.

1.5. Electronic mail - wwd.georgia@gmail.com

Article 2

Mission and Objectives

2.1. The mission of the Network is – to promote the civil, political, economic, social and cultural rights of women and girls with disabilities.

2.2. The objectives of the Network are as follows:

a) protection of the dignity, rights and freedoms of women and girls with disabilities;

b) strengthening women and girls with disabilities for full and effective inclusion and gender equality;

Article 3

Forms of Activity

3.1. To achieve the objectives set by the Charter, the Network:

3.1.1. carries out educational and cognitive activities to raise awareness on the needs provided by specifics of women and girls with disabilities, on the protection of their equal rights and legitimate interests;

3.1.2. establishes Centers (bureaus) for strengthening women with disabilities and for consultation services, the youth wing of the Network and provides representation in courts and other bodies. Supports the creation of effective infrastructure for the legal protection of persons/women with disabilities;

3.1.3. evaluates and monitors the State and other programs aimed at improving the legal status and well-being of women with disabilities. Actively participates in the discussion of important issues in the field by expressing positions of the Network;

3.1.4. promotes the importance of the rights of women and girls with disabilities, their "independent life", importance of them being involved in consultation and decision-making process at the national, municipal and departmental levels and supports the establishment of modern approaches in the field;

LINGUAPHILIA "LINGUAPHILIA" LIMITED LIABILITY COMPANY 202492281

Tamar Chartolani

3.1.5. works on issues related to gender equality, violence against women and domestic violence, as well as on issues related to supporting sexual and reproductive health and the realization of the rights of women with disabilities;
3.1.6. supports the active involvement and political participation of women and girls with disabilities in electoral processes, as well as participates in peace policy-making processes;
3.1.7. conducts research activities to identify and systematize the specific needs of women and girls with disabilities;
3.1.8. works on environmental justice issues from the perspective of women with disabilities;
3.1.9. takes care of the creation and development of a library network equipped with modern literature, audio and video materials on the issues of persons/women with disabilities. Conducts publishing and translation activities;
3.1.10. collaborates with local and international organizations operating in the field;
3.1.11. may be engaged in ancillary industrial activities that do not alter its status as a non-entrepreneurial legal entity;
3.1.12. is engaged in other activities that are not prohibited by law.

The founders of the Network are the following N(N)LE organizations:

| № | N(N)LE | Address | ID code | Director |
|---|---|---|---|---|
| 1 | Woman and Reality | Tbilisi, Nadzaladevi District, Ts. Dadiani Str., Building 315, Apt. 2 | 400052134 | Tamar Macharashvili Personal №01019010606 Card №18IC27872 |
| 2 | Mziani Biliki | Tbilisi, Gldani-Nadzaladevi District, № 3 V. Ninua Str. | 400151134 | Inga Nabakhteveli Personal №01036005600 Card №15IC22927 |
| 3 | Platform for New Opportunities | Tbilisi, Isani District, №22a G.Nioradze Str. | 406282600 | Esma Gumberidze Personal №09001022798 Card №13IH23859 |

## Article 4
## Membership

Members of the Network may become organizations of women with disabilities, adult female activists with and without disabilities, parents of girls with disabilities who share the objectives

LINGUAPHILIA "LINGUAPHILIA" LIMITED LIABILITY COMPANY

Tamar Chartolani

of the Network. The number of members of the Network without the status of persons with disabilities shall not exceed 25% of the total number of members

4.1. A person wishing to become a member of the Network addresses the Network Board in the prescribed form via the written statement. The Board decides on the issue of membership no later than 3 months after the submission of the statement. Before deciding on a membership, a candidate must submit a written recommendation from two members of the Network in the prescribed form.

4.2. The Network founders and members joined afterwards have equal status.

4.3. The Network member has the right to:

4.3.1. participate in the work of the General Meeting of the Network;

4.3.2. elect and be elected to the governing bodies of the Network;

4.3.3. participate in programs of the Network according to qualifications and capabilities;

4.3.4. participate in the Board Meetings with the right of deliberative vote;

4.3.5. receive any kind of information from the governing bodies and individuals of the Network about the activities of the latter;

4.3.6. in accordance with the objectives of the Network, to the extent possible, use the information and material and technical means owned by the Network;

4.3.7. wear the emblem and other accessories of the Network.

4.4. The member of the Network is obliged to:

4.4.1. follow the Network Charter, internal regulations and decisions made by the governing bodies;

4.4.2. take care of business reputation, authority and property of the Network;

4.4.3. participate in activities of the Network according to possibilities and interests;

4.4.4. when working in the field, be guided by the objectives of the Network and the established norms of ethics;

4.4.5. pay the membership fee in the prescribed manner and amount;

4.5. The authorities of the member of the Network shall be terminated:

4.5.1. on the basis of her/his own statement;

4.5.2. in case of non-payment of the membership fee for three consecutive months without prior notice to the Board;

4.5.3. in case of a conviction rendered against her/him by a court and entered into legal force.

4.5.4. in case of her/his death;

4.5.5. the member of the Network may be expelled from the latter by the decision of the General Meeting if her/his activities contradict the objectives of the Network or she/he grossly violates the obligations imposed on her/him by this Charter, the organization's code of ethics and internal regulations.

LINGUAPHILIA' LIMITED LIABILITY COMPANY
LINGUAPHILIA
202482281

Chartolani

Article 5

Network Governance

5. General Meeting of Members

5.1.1. The highest governing body of the Network is the General Meeting of members.

5.1.2. All members of the organization have the right to participate in the work of the General Meeting, except those whose membership is suspended. Persons with suspended membership have the right to attend the General Meeting.

5.1.3. The General Meeting is held once a year, no later than one year after the last General Meeting. The Board is obliged to inform the members of the organization about the date and agenda of the Meeting no less than 2 weeks before the Meeting.

5.1.4. Extraordinary General Meeting will be convened:

5.1.4.1. by the decision of the Board:

5.1.4.2. at the request of at least 5 (five) members of the Network.

5.1.5. The General Meeting is authorized if more than half of the total number of members of the organization participate in it.

5.1.6. Because of the absence of a quorum, in case of repeated convening of the Meeting, the Meeting is authorized if more than 1/3 of the total number of members of the organization participate in it.

5.1.7. The special competence of the General Meeting includes:

5.1.7.1. adopting the Charter and making amendments in it;

5.1.7.2. defining the main directions of the organization activities;

5.1.7.3. electing the members of the Board of the organization:

5.1.7.4. approving the Board report;

5.1.7.5. creating, if necessary, an audit commission in order to examine the use of funds and material resources, the authority of which shall be determined by the General Meeting;

5.1.7.6. discussing the issue of termination of the Network membership (except for the case envisaged in paragraph 5.3.12 of the same Charter).

5.1.7.7. determining the amount of the membership fee.

5.1.8. Decisions by the General Meeting are made by ballot voting by a simple majority of the attendants' votes, except for amendments to the Charter, which shall be decided by 2/3 of the attendants' votes.

<u>5.2. The Network governance/representation</u>

5.2.1. The governing body of the Network is the Network Board consisting of 5 members, whose members are elected by the General Meeting for a term of 4 years and its authority lasts until the election of a new Board. Any member of the Network has the right to nominate herself/himself or another person to be elected as a member of the Board. Candidates for the Board members must be nominated one week before the General Meeting. A person who is not present at the General Meeting may also be elected as a member of the Board, if she/he has given her/his prior written and/or legal consent to be elected as a member of the Board.

LINGUAPHILIA LIMITED LIABILITY COMPANY 202462291

Tamar Chartolani

5.2.2. In the period between the General Meetings, the activities of the organization are managed by the Board. The Board elects a Chairperson of the Board by ballot voting from among the members;

5.2.3. Meetings of the Board shall be convened by the Chairperson or at the request of the Board member no less than once every 3 months.

5.2.4. The Board is authorized if more than half of the members are attending the Meeting. The decision shall be made by a majority of votes. In case of a vote splitting, the Chairperson has the casting vote.

5.3. Board functions:

5.3.1. developing and approving a strategic development plan for the organization, as well as presenting at the General Meeting for approval of possible changes in the vision and mission of the organization;

5.3.2. developing ideas for specific directions of the organization activities, projects to be implemented;

5.3.4. appointing and organizing the General Meeting;

5.3.5. approving the annual operational (action) plan and annual financial budget;

5.3.6. choosing an audit company;

5.3.7. creating and approving structural units of the Network;

5.3.8. creating and staffing the youth wing of the Network and defining the norms of activity;

5.3.9. establishing and staffing an Advising Board of the Network and defining the norms of activity;

5.3.10. developing and approving internal regulations and ethics and monitoring compliance with the ethics;

5.3.11. making a decision on a person becoming a member;

5.3.12. making a decision on termination of membership in case of a personal statement;

5.3.13. making a decision on the suspension of membership and cancellation of the suspension in case of elimination of the grounds for suspension;

5.3.14. terminating the authority for a member of the Board;

5.3.15. determining the rules for paying the membership fee;

5.3.16. reviewing statements and complaints of the Network members and third parties on issues within the competence of the Board;

5.3.17. discussing all other issues that are not within the competence of the General Meeting;

5.5. Board member obligations:

5.5.1. to attend the Board Meetings and participate in the work of the Board;

5.5.2.in case of absence from the Meeting, to get acquainted with the decision made at the m Meeting and take care of its implementation;

5.5.3. to prepare suggestions and ideas for the development of the strategic plan and directions of the activities of the Network.

5.5.4. Members should be involved in the process of planning, monitoring and execution in the field of resource acquisition;

5.6. The authority of the Board member shall be terminated by the decision of the Board:

LINGUAPHILIA

Tamar Chachlani

5.6.1. on the basis of a personal statement;
5.6.2. due to the expiration of the authority;
5.6.3. if she/he is not able to fulfill her/his rights and duties for a period of more than 3 months;
5.6.4. in case of missing the Board Meeting 3 times in a row for inadequate reasons;
5.6.5. in case of early termination of authority for a Board member, she/he shall be replaced by the member of the organization who had received the highest number of votes after the elected members of the Board at the General Meeting.

The Board members of the Network are as follows:

| № | N(N)LE | Address | ID code | Director | P/N |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | Woman and Reality | Tbilisi, № 315 Tsotne Dadiani Str., | 400052134 | Tamar Macharashvili | №01019010606 |
| 2 | Mziani Biliki | Tbilisi, № 3 V. Ninua Str. | 400151134 | Inga Nabakhteveli | №01036005600 |
| 3 | Platform for New Opportunities | Tbilisi, Isani District, №22a G.Nioradze Str. | 406282600 | Esma Gumberidze | №09001022798 |
| 4 | Alliance of Women with Disabilities | Batumi, Ivane Meskhi V Dead End № 4 | 445602152 | Dea Eremashvili | №01017027181 |
| 5 | Women with Disabilities for Equality | Kutaisi, №91 G. Chkondideli Str. | 412760445 | Tinatin Gelkhviidze | №60002004299 |

5.7. Chairperson of the Board
5.7.1. The Chairperson of the Board of the Network is elected by the Board by a majority of votes from among its members and her/his term of authority is indefinite. Each member of the Board has the right to nominate a chairperson. The Chairperson's term of office starts from the moment of election and continues until the termination of the authority.
The Board can at any time raise an issue regarding a change of the Network Chairperson and her/his term of office;
5.7.2. Rights and duties of the Chairperson of the Board:
5.7.2.1. manages the activities of the Network Board;
5.7.2.2. within her/his competence, represents the Network to third parties in Georgia and abroad;

LINGUAPHILIA LIMITED LIABILITY COMPANY 202462281

Tamar Chartolani

5.7.2.3. allocates the Network cash and material resources in accordance with the rules established by the Board and is responsible for their proper use. Signs relevant official and financial documents;

5.7.2.3. annually reports to the General Meeting on the activities of the Network;

5.7.2.4. presents to the General Meeting the main directions of the Network activities for approval;

5.7.2.5. convenes the Board Meetings at least once in 3 months and notifies the members of the Board about the date and the agenda of the Meeting 5 (five) days prior.

5.7.2.6. creates a deliberative body - the Board of Directors, which consists of program directors (coordinators). Meetings of the directorate are held if necessary by the decision of the Chairperson of the Network;

5.7.2.7. is accountable to the Board and the General Meeting of the Founders of the Network;

5.7.2.8. The activity rules of the Chairperson of the Board shall be determined by the current Charter and the statute of the Board on the rules of activity of the Chairperson;

5.7.2.9. The Chairperson of the Board can make decisions on the issues assigned to her/him individually;

The Chairwoman of the Network Board Tamar Macharashvili

## Article 6

## Liquidation/Reorganization of the Association

6.1. The reorganization of the non-entrepreneurial (non-commercial) legal entity is carried out under the regulation identified by the legislation of Georgia.

6.2. The liquidation of the non-entrepreneurial (non-commercial) legal entity is carried out as a result of reaching the objective, on the basis of a conviction on a criminal case rendered against her/him by the court and entered into legal force, in case of bankruptcy or in accordance with the rules established by the civil law of Georgia.

6.3. During the liquidation, all ongoing activities shall end, the requirements shall be set, the rest of the property shall be expressed in money, the creditors shall be satisfied and the rest property shall be distributed among the authorized people.

6.4. The founders' decision on starting the process of liquidation of the association shall be registered in the register of the non-entrepreneurial (non-commercial) legal entities. The process of liquidation is considered to have started at the moment of its registration.

6.5. The authorized people for receiving the property left after the liquidation are determined by the founders of the non-entrepreneurial (non-commercial) legal entity. In case of liquidation of a non-entrepreneurial (non-commercial) legal entity, the property may be alienated if:

6.5.1. the alienation supports the implementation of its objectives;

6.5.2. has charitable purposes;

6.5.3. the property is transferred to another non-entrepreneurial (non-commercial) legal entity.

LINGUAPHILIA

Tamar Chartolani

6.6. Distribution of the property remaining after the liquidation among the founders, members, leadership and representative authorities of the non- entrepreneurial (non-commercial) legal entity is prohibited.

6.7. If the founders of the non-entrepreneurial (non-commercial) legal entity do not identify the authorized person to receive the property remaining after the liquidation, the court transfers the property remaining after the liquidation of the non-entrepreneurial (non-commercial) legal entity to one or several non-entrepreneurial (non-commercial) legal entities having the objectives same or similar to the liquidated non-entrepreneurial (non-commercial) legal entity. If this kind of organizations do not exist or their identification is impossible, a decision on transferring this property to the government may be made. The court may distribute the property after 6 months from the registration of the commencement of the liquidation process.

6.8. The liquidation is carried out by the person(s) with the authority of governance or by a liquidator appointed in accordance with the Law. The liquidator is liable as a person with management and representative authority.

6.9. The General Meeting makes a decision on the re-organization and liquidation of the Network. The decision on termination of the Network operation is considered accepted if it is voted by 2/3 of the Network founders;

6.10. The Network operation may also be terminated in other cases defined by the legislation of Georgia;

6.11. The liquidation is carried out by the liquidation commission assigned by the Meeting;

6.12. The property left after the liquidation is shared according to the current legislation;

## Article 7
## Final Provisions

7.1. The present Charter enters into force from the moment all the founders sign it.

7.2. If any provision of this Charter is declared invalid, it shall not affect the validity of the other provisions of the Charter.

7.3 In case of discrepancies between this Charter and the current legislation of Georgia, the law shall prevail.

The founders of the Network are the following N(N)LE organizations:

| № | N(N)LE | Address | ID code | Director | Signature |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | Woman and Reality | Tbilisi, Nadzaladevi District, Ts. Dadiani Str., building 315, Apt. 2 | 400052134 | Tamar Macharashvili Personal №01019010606 Card №18IC27872 | /signed/ |

LINGUAPHILIA "LINGUAPHILIA" LIMITED LIABILITY COMPANY 202462

Tamar Chartolani

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | Mziani Biliki | Tbilisi, Gldani-Nadzaladevi District, № 3 V. Ninua Str. | 400151134 | Inga Nabakhteveli Personal №01036005600 Card №15IC22927 | /signed/ |
| 3 | Platform for New Opportunities | Tbilisi, Isani District, #22a G.Nioradze Str. | 406282600 | Esma Gumberidze Personal №09001022798 Card №13IH23859 | |

Instead of Esma Gumberidze, the document is signed by Ekaterine Tskhvariashvili 36001035318 /signed/

Translation corresponds to the original.
Translator: Tamar Chartolani

Tamar Chartolani

LIMITED LIABILITY COMPANY "LINGUOPHILIA" 202462281

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N211405609 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 17.12.2021 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | მერაბ ფარჯიკია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | მობილური 599 19 64 09 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 74797302909321 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

2021 წლის 17 დეკემბერს მე, ნოტარიუს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, მომმართა თამარ ჩართოლანმა (დაბადების თარიღი: 25.12.1983, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი № 01027021005, მცხოვრები: ქ. თბილისი, იასამნის ქუჩა 6, ბ.37.), რომელმაც წარმოადგინა წინამდებარე დოკუმენტის თარგმანი ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი BH № 03284, ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით ანგლისტიკა, წარჩინებით, გაც.: 26.06.2004, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი ДИМ 0000564, ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხი, წარჩინებით, გაც.: 25.06.2006). მე თამარ ჩართოლანი გავაფრთხილე, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და მან დაადასტურა. გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 20 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, პლიუს სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილების 39-ე მუხლისა და დღგ 18%: 3,60 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია

Notarial Act

Georgia

On the 17th of December, 2021 I, notary Merab Parjikia, at my Notary Bureau located at 41 Vazha-Pshavela, Tbilisi, was addressed by Tamar Chartolani (date of birth: 25.12.1983, place of birth: Tbilisi, personal № 01027021005, residing at 6 Iasamani St., apt. 37, Tbilisi). She presented the document translated from Georgian into English. I checked her capability and authority (Ivane Javakhishvili State University of Tbilisi, Diploma BH №03284, Academic Degree of Bachelor in Philology in the speciality of English, with Honours, issued on 26.06.2004, Saint Petersburg State University, Diploma ДИМ 0000564, Master's Degree in Philology, with Honours, issued on 25.06.2006). I warned Tamar Chartolani that she is responsible for accuracy of translation and she confirmed this. Notary fee paid: 20 GEL according to Article 31 of the Decree №507 of December 29, 2011 of the Government of Georgia regarding Notary Fee for Performing Notarial Actions, plus 2 (two) GEL for registration of notarial action in electronic notary register according to Article 39 of the above mentioned Government Decree and VAT 18%: 3,60 GEL according to Article 169 of the Tax Code of Georgia.

Notary Merab Parjikia